თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის
სხდომის ოქმი №3

თბილისი, 11 აგვისტო, 2020

სხდომა დაიწყო 11:05 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ:

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის (შემდგომში – კომისია) წევრები:

- კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს იუსტიციის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ სარჯველაძე;
- საქართველოს მთავარი პროკურორის მოადგილე გიორგი გაბიტაშვილი;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვისა და გამოძიების ხარისხის მონიტორინგის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე გიორგი ოსაძე;
- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ხათუნა თოთლაძე;
- საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილე რატი ბრეგაძე;
- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი ნიკოლოზ როსებაშვილი;
- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე თამარ ქიტიაშვილი;
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე გიორგი წოწკოლაური;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსი თეიმურაზ მიქაბერიძე;
- საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის იურიდიული სამსახურის იურიდიული მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე მარიამ ლაცაბიძე;

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსი ლევან ჯღარკავა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი ბესიკ ქოჩიაშვილი;

კომისიის სამდივნოს წევრები:

- ნათია თევზაძე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი;
- ანა ჩაჩხიანი – ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსის (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი) დროებით მოვალეობის შემსრულებელი;

მოწვეული უწყებების წარმომადგენლები:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი გიორგი კალანდარიშვილი.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა მიხეილ სარჯველაძემ, სხდომა გახსნა 11:05 საათზე და შეამოწმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა. სხდომის მიმდინარეობისას მან დაადგინა, რომ, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 30 ივნისის №560 ბრძანებით დამტკიცებული „თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის დებულების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას, რადგანაც სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. ბატონმა მიხეილმა კომისიას გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარის მისალმება;

2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის, ქალბატონი თამარ ქიტიაშვილის, ინფორმაციის მოსმენა ცირკულარის ტექსტის განხილვასთან დაკავშირებით;
3. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის ზოგადი მიმოხილვა (ISFED-ის მეორე შუალედური ანგარიში);
4. თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის წევრების მხრიდან ინფორმაციის მოსმენა;
5. სხვადასხვა.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარე, ბატონი მიხეილ სარჯველაძე, მიესალმა კომისიის წევრებს. მისალმების შემდეგ ბატონმა მიხეილმა სხდომაზე დამსწრეთ გააცნო დღის წესრიგი. ამასთან, აღნიშნა, რომ მედიამონიტორინგის პროცესში გამოიკვეთა რიგი საკითხებისა, რომლებიც საყურადღებოა და კომპეტენციის მიხედვით შესაბამისი უწყებებიდანაც მოჰყვა რეაგირება.

კომისიის თავმჯდომარემ გასული ორი კვირის განმავლობაში მედიაში გავრცელებული ინფორმაციის განხილვისას აღნიშნა, რომ, ძირითადად, კვლავ დომინირებს პოლიტიკური შეფასებები, თუმცა, გამოკვეთილია შემთხვევები, როცა საუბრობდნენ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებასა და ამომრჩევლის მოსყიდვასთან დაკავშირებით. ბატონმა მიხეილმა კომისიის წევრებს მოუწოდა, მსგავსი განცხადებები არ დატოვონ ყურადღების მიღმა.

შემდეგ ბატონმა მიხეილმა სიტყვა გადასცა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსს, ბატონ ნიკოლოზ როსებაშვილს, და სთხოვა, მიეწოდებინა ინფორმაცია კომისიის წევრებისთვის მის მიერ გამოგზავნილი რეაგირების წერილთან დაკავშირებით.

ბატონმა ნიკოლოზმა მისალმების შემდეგ დამსწრეთ გააცნო მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა ხელვაჩაურის საკრებულოს წევრ ვაჟა თავდგირიძის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს. ამასთან, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საკრებულოში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სიით მოხვედრილი ვაჟა

თავდგირიძე 2019 წლის სექტემბრიდან საკრებულოს სხდომებში არ მონაწილეობდა. საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" დადგენილი წესით, საკრებულოს წევრს უფლებამოსილება უწყდება, თუ ის ზედიზედ ექვსი თვის განმავლობაში არ მონაწილეობს საკრებულოს საქმიანობაში. საკრებულოს შესაბამისი კომისია, როგორც წესი, საპროცედურო კომისია, 6 თვის გასვლის შემდეგ იკვლევს, თუ რა მიზეზით არ იღებს საკრებულოს წევრი სხდომებში მონაწილეობას. კანონით დადგენილი წესით, ბატონი ვაჟასგან გამოთხოვილ იქნა ინფორმაცია, თუმცა, მის მიერ ვერ მოხერხდა დადასტურება იმისა, თუ რა იყო მიზეზი მისი გამოუცხადებლობისა საკრებულოს სხდომებზე ზედიზედ რვა თვის განმავლობაში. ბატონი ნიკოლოზის თქმით, საპატიო მიზეზი ვერ იქნა წარმოდგენილი. შესაბამისად, საკრებულომ დაიწყო ადმინისტრაციული წარმოება საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით. კანონის დაცვით, აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა საკრებულოს კომისიების მიერ. საკრებულოს სხდომაზე აბსოლუტურმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტას.

თავმჯდომარემ ორი დამაზუსტებელი კითხვით მიმართ ბატონ ნიკოლოზს მის მიერ სხდომაზე განხილულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ: რით აიხსნება, რომ განხორციელდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა არა დაუყოვნებლივ 6 თვის გასვლისთანავე, არამედ რვა თვის შემდეგ, როცა კანონით დადგენილი ვადა დადგა, ასევე, საკრებულოს სხვა წევრებიც ხომ შეიძლება იყვნენ მსგავს ვითარებაში და ხომ არ არის დისკრიმინაციული მიდგომა.

როგორც ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, მუნიციპალიტეტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, საპროცედურო კომისიამ ექვსი თვის შემდეგ დაიწყო გარკვევა, თუ რატომ არ ცხადდებოდა დასახელებული საკრებულოს წევრი სხდომებზე. საკითხთან დაკავშირებით იყო გარკვეული სახის მიმოწერა. წარმოდგენილ იქნა საკრებულოს შესაბამის სამსახურში დამადასტურებელი დოკუმენტები, რომ მას ჰქონდა ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პრობლემა და გადიოდა შესაბამის მკურნალობას. ამასთან, ბატონმა ნიკოლოზმა აღნიშნა, რომ მიმოწერის პროცესს დამატებითი დრო დასჭირდა და როგორც კი დადასტურდა საპატიო მიზეზის არარსებობა, დაიწყეს საკრებულოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის დაყენება საკრებულოს სხდომაზე.

ამასთან, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან

ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა აღნიშნა, რომ სხვა მსგავსი შემთხვევა დასახელებულ საკრებულოში არ არის, თუმცა, შეინიშნება სხვა მუნიციპალიტეტებში.

შემდეგ ბატონი მიხეილი შეეხო მედიაში გაჟღერებულ ინფორმაციას სააგიტაციო მასალის (პლაკატების) გავრცელების შეზღუდვასთან დაკავშირებით და სიტყვა გადასცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ თამარ ქიტიაშვილს.

ქალბატონი თამარის თქმით, მედიაში გავრცელებული ინფორმაცია ოპოზიციური პარტიის საარჩევნო პლაკატების ჩამოხევასთან დაკავშირებით ეხება გარკვეულ ჯგუფს, რომელიც წარმოადგენს ქალაქ თბილისის მერიის ა(ა)იპ-ს. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო ყოველწლიურად აცხადებს კონკურსს კულტურული ღონისძიებების ხელშესაწყობად. სამინისტროს „კულტურის ხელშეწყობის პროგრამის" ფარგლებში უწყების დაქვემდებარებაში არსებული სსიპ „შემოქმედებითი საქართველოს" გამარჯვებულ პროექტს ახორციელებდა ა(ა)იპ „საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაცია". ამ ორგანიზაციას წინასწარ წარმოდგენილი ჰქონდა პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი ყველა სამუშაოს აღწერა შესაბამისი გეგმა-გრაფიკით და კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, 09 ივლისს, გაფორმდა ხელშეკრულება. 06-17 აგვისტოს შუალედში განსახორციელებელი პროექტი სხვადასხვა ეტაპს მოიცავდა. პირველ ეტაპზე უნდა მომზადებულიყო ობიექტი, რაც გულისხმობდა კედლის გასუფთავებას და მონიშვნებს, სად რა ტიპის ნახატი უნდა შესრულებულიყო, ხოლო შემდეგ უნდა დაწყებულიყო უშუალოდ მოხატვის პროცესი. ამასთან, ქალბატონი თამარის თქმით, ჯერ კიდევ გადაწყვეტილების მიღებამდე ჯგუფმა წარმოადგინა შესაბამისი ნებართვები მერიიდან ამ ღონისძიებების ჩატარებასთან დაკავშირებით, რამაც კომისია დაარწმუნა კონკურსანტის შესაძლებლობებში. 06 აგვისტოს გასუფთავდა სივრცე, განთავსდა შესაბამისი მონიშვნები – ამის ყველა მტკიცებულება არსებობს, მათ შორის, ვიდეომასალა, სადაც ასახულია მონიშნული მოსახატი სივრცე 06 აგვისტოს მდგომარეობით. სწორედ მომდევნო დღეებში განთავსდა ჯგუფის სამუშაო სივრცეში ოპოზიციური პარტიის სააგიტაციო მასალა. შესაბამისად, ხელოვანებმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით კვლავ დაიწყეს კედლის გათავისუფლება უკვე ამ სააგიტაციო მასალისგან, შედეგად კი მედიაში მოხვდა დამახინჯებული ინფორმაცია ოპოზიციური პარტიის სააგიტაციო მასალის ჩამოხევასთან დაკავშირებით. ამასთან, როგორც ქალბატონი თამარი აღნიშნავს, კომისიის წევრებს გაეგზავნათ ყველა ის დოკუმენტი, რომლებითაც მტკიცდება

პროცესის კანონის სრული დაცვით განხორციელება, მათ შორის, მხარეთა მიერ გაფორმებული ხელშეკრულება. თუმცა, რამდენად თავსდება სამართლებრივ ჩარჩოში კონტრაქტორის მხრიდან სააგიტაციო მასალის ჩამოხევის ფაქტი, ამის შეფასება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კომპეტენციას არ მიეკუთვნება.

ფაქტის შესახებ ინფორმაცია კომისიის წევრებს მიაწოდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის უფროსმა, ბატონმა ლევან ჯღარკავამ. როგორც მან აღნიშნა, მუნიციპალურ ინსპექციაში დაწყებულია საქმის წარმოება. მისივე თქმით, ამ პერიოდში სააგიტაციო მასალის განთავსება შეფასებულია კანონდარღვევად, რადგანაც აკრძალულია სააგიტაციო თვალსაჩინოების განთავსება არა მხოლოდ ამ ლოკაციაზე, არამედ 18 ლოკაციაზე. ამისთვის დაჯარიმდნენ კიდეც ფიზიკური პირები, რომლებიც აკრავდნენ სააგიტაციო მასალას, გამოიწერა შესაბამისი სამართალდარღვევის ოქმები. ბატონმა ლევანმა დაადასტურა, რომ ღონისძიება სრულიად კანონიერადაა ჩატარებული, რადგან თავის დროზე ჯგუფმა მიმართა ქალაქ თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურს და აიღო შესაბამისი ნებართვა. ბატონმა ლევანმა კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ა(ა)იპ „საქართველოს ქუჩის ხელოვნების ფედერაცია" მოქმედებდა კანონის სრული დაცვით და პირიქით – ოპოზიციური პარტიის ქმედება შეიცავდა სამართალდარღვევის ნიშნებს, რასაც მოჰყვა შესაბამისი რეაგირება. მისივე თქმით, კვლავ მიმდინარეობს საქმის წარმოება.

კომისიის თავმჯდომარემ დამაზუსტებელი კითხვით მიმართა ბატონ ლევანს, თუ რამდენად მაღალია მსგავსი პროცესის გაგრძელების რისკი.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, ამ ეტაპზე მხოლოდ ერთი კონკრეტული პარტიაა გამოკვეთილი მსგავსი ქმედებებით, თუმცა, შესაბამისი სანქციების მიღების შემდეგ ფაქტები შემცირდა.

ბატონმა მიხეილმა კომისიის წევრებს მოუწოდა, რომ საარჩევნო პროცესების სწორად წარმართვის მიზნით კომპეტენციის ფარგლებში განახორციელონ საპრევენციო აქტივობები, მოახდინონ მოსახლეობის ინფორმირება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მსგავსი ტიპის კონფლიქტები.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონებსა და ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა ნიკოლოზ როსებაშვილმა, განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტებმა კანონით დადგენილ ვადაში უნდა გამოსცენ შესაბამისი სამართლებრივი აქტები – სად არის შეზღუდული და სად

დაშვებული სააგიტაციო მასალის განთავსება. ამასთან, მან ხაზი გაუსვა მუნიციპალიტეტების მიერ სამართლებრივი აქტის დროულად მიღების მნიშვნელობას ხსენებული საკითხის მოწესრიგების კუთხით. ამ მხრივ დაგეგმილია მუნიციპალიტეტებთან შესაბამისი კომუნიკაცია.

კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი და საყურადღებოა ზემომითითებული აქტების გამოცემა და შემდგომ მოსახლეობის სრული ინფორმირება.

შემდეგ სიტყვა გადაეცა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილეს, ქალბატონ თამარ ქიტიაშვილს, ცირკულარის ტექსტის განხილვასთან დაკავშირებით.

ქალბატონმა თამარმა კომისიის წევრებს მიმართა, რომ სამინისტროს მხრიდან გამოგზავნილი იყო ელექტრონული შეტყობინება ცირკულართან დაკავშირებით და სხდომის მონაწილეთ მუშაობის მსვლელობისას უფრო დეტალურად გააცნო აღნიშნული შეტყობინების მთავარი მიზანი.

მისი თქმით, პანდემიის პერიოდში არაერთი აქტივობა (ტრენინგები, სემინარები, კონფერენციები და სხვა) შეჩერდა და ერთი კვარტლით გადაიდო. მან აქვე აღნიშნა, რომ მრავალი ღონისძიება წინ უნდა უსწრებდეს სწავლის დაწყებას როგორც უმაღლეს, ისე პროფესიულ და ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სამინისტროსთვის მნიშვნელოვანია, აგვისტო-სექტემბერში მოხერხდეს გარკვეული სემინარებისა და ტრენინგების ორგანიზება. აქედან გამომდინარე, ქალბატონი თამარის თქმით, სამწუხაროდ, ვერ გადადებენ და უარს ვერ იტყვიან ღონისძიებების ჩატარებაზე. ამასთან, მომხსენებელმა დასძინა, რომ აღნიშნული აქტივობები ხორციელდება რეგლამენტისა და რეკომენდაციების სრული დაცვით. მინისტრის მოადგილემ გაიხსენა თელავის მუნიციპალიტეტის შემთხვევა, რომელიც ეხებოდა მასწავლებლების ტრენინგს და ინფორმაციის დამახინჯებით გავრცელების პრევენციის მიზნით სამინისტროს მხრიდან გადაწყდა, კომისიისთვის წარედგინა ტექსტის გარკვეული მონახაზი. სწორედ კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად შეჯერებული ტექსტი გადაეგზავნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებს პრევენციის მიზნით, რათა გამართული კომუნიკაციის ფონზე ბენეფიციარებამდე სწორად მივიდეს გზავნილი – თუ რატომ იგეგმება ესა თუ ის ღონისძიება, და არ მოხდეს მისი დაკავშირება წინასაარჩევნო აგიტაციასთან ან სხვა პარტიულ მიზნებთან.

ცირკულარის ტექსტის მონახაზში მიმართავენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულებებს, რომ ორგანიზებული ღონისძიების ჩატარებისას (სადაც იგულისხმება მონაწილეთა გარკვეული რაოდენობის ჩართულობა) მონაწილეთა ინფორმირების მიზნით შექმნილ ყველა მოსაწვევში, განცხადებაში, კორესპონდენციაში (შესაძლოა, ჩანაცვლდეს წერილობითი კომუნიკაციით) მიუთითონ ღონისძიების მიზანი, შედეგი და, რაც მთავარია, რომ ღონისძიება დაგეგმილია შესაბამისი წლის ბიუჯეტით, „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" მითითებული დათქმის გათვალისწინებით.

როგორც კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, მისასალმებელია მსგავსი სახით ინფორმირება, ტექსტთან დაკავშირებით რეკომენდაცია არ აქვს, თუმცა, პრაქტიკული თვალსაზრისით, საკითხი საყურადღებოა და აუცილებელია პროცესებზე თვალყურის დევნება. მისივე თქმით, ეს კარგი ინიციატივაა და ყველა შემთხვევაში გამართლებული იქნება მისი განხორციელება.

კომისიის თავმჯდომარემ და წევრებმა მხარდაჭერა გამოხატეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინიციატივის მიმართ.

ბატონმა მიხეილ სარჯველაძემ კომისიის წევრებს გაცნო ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელის მიერ მედიაში გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც ეხებოდა პოლიტიკური თანამდებობის პირების ჩართულობას წინა საარჩევნო პერიოდში და რომ მისი თქმით, ეს არის ადმინისტრაციული რესურსის უკანონო გამოყენება. კომისიის თავმჯდომარის აზრით, აღიშნულ შეფასებას არანაირი საფუძველი არ გააჩნდა. ამასთან კომისიის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს და მოუწოდა შეიმუშავონ პრევენციული აქტივობები, რადგან წინასაარჩევნოდ მედიაში გავრცელებული მსგავსი და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, მისი აზრით, მიმართულია მეტი რადიკალიზაციისკენ და მოსახლეობას უყალიბებს შესაძლო მცდარ შეხედულებებს გარკვეულ საკითხთან მიმართებით. ამასთან, კომისიის თავმჯდომარე ვარაუდობს, რომ მსგავსი შემთხვევები კვლავ განმეორდება.

ქალბატონმა თამარ ქიტიაშვილმა კომისიის წევრებს შესთავაზა, შეიმუშაონ ანიმაციური ან გრაფიკული ვიდეოკლიპი მოსახლეობის სწორი ინფორმირების მიზნით, რომელიც გავრცელდება მედიასა და სოციალურ ქსელებში.

საკითხთან დაკავშირებით ბატონმა მიხეილმა მოუწოდა კომისიის წევრებს, მომდევნო სხდომაზე დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები და დაგეგმონ პრევენციული აქტივობები. ამასთან, როგორც მან აღნიშნა, საქართველოს ორგანული კანონი

„საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ითვალისწინებს რიგ შეზღუდვებს საჯარო მოხელეების მიმართ. აქედან გამომდინარე, ასევე, სასურველი იქნება პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა საჯარო მოხელეების ინფორმირების კუთხით, რათა სამომავლოდ ავირიდოთ საჯარო სტრუქტურებში დასაქმებულთა მიერ განზრახ თუ გაუფრთხილებლობით კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევა.

საქართველოს თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, ბატონმა რატი ბრეგაძემ, თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ მხარს უჭერს ქალბატონი თამარ ქიტიაშვილის ინიციატივას. ამასთან, საკუთარი მოსაზრება დააფიქსირა უწყებებისა და საჯარო მოხელეების ინფორმირების საკითხთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შეტანილ ცვლილებებთან მიმართებით მოხელეების გარკვეული ნაწილი არ არის სათანადოდ ინფორმირებული და, შესაბამისად, მისი აზრით, ზოგადი სარეკომენდაციო ხასიათის გარკვეული გამარტივებული ფორმით ინსტრუქციის დაგზავნა კომისიის სახელით უწყებებში კარგი პრაქტიკის როლს შეასრულებდა. მისივე თქმით, სასურველია, რეკომენდაცია შემუშავდეს იმგვარად, რომ ნებისმიერი პროფესიის მქონე მოხელისთვის იყოს გასაგები.

ბატონი მიხეილის თქმით, ყველა უწყებისთვის აქტის ფორმით შემუშავებული ქცევის ზოგადი სტანდარტები თუკი მოითხოვს სამართლებრივ ჭრილში განახლებას, დროულადაა ცვლილებები შესამუშავებელი, რათა სრულ შესაბამისობაში იყოს დღეს მოქმედ კანონმდებლობასთან. მან აქვე დასძინა, რომ აღნიშნული აქტები ხელს უწყობს საჯარო მოსამსახურეების სწორ ინფორმირებას.

ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ბატონმა გიორგი კალანდარიშვილმა, მიმართა კომისიის წევრებს და აღნიშნა, რომ საკანონმდებლო ცვლილებების შემდეგ გაიზარდა პირთა წრე, რომლებზეც გავრცელდა გარკვეული სახის შეზღუდვები და ამ შეზღუდვებში, ფაქტობრივად, მოექცნენ ყველა საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლები, გარდა იმ ოთხი გამონაკლისისა, რომლებიც ეხება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს, პროფესიულ სასწავლებლებს, ადვოკატთა ასოციაციას, რელიგიურ ორგანიზაციებს, მუნიციპალიტეტების მიერ წილობრივი მდგომარეობით შექმნილ ა(ა)იპ-ებსა და, ასევე, პედაგოგებს. ამასთან, ბატონი გიორგის თქმით, შეიძლება ეს კატეგორია არ იყოს ინფორმირებული ამის შესახებ, როგორც უკვე განაცხადეს კომისიის სხვა წევრებმა. ამიტომ ცესკო-ს შეუძლია, დამატებით გამოსცეს ამ პირებზე რეკომენდაცია, კომისიის ადრინდელი რეკომენდაციების გათვალისწინებით; შემდგომ კი, შესაბამისმა უწყებებმა უზრუნველყონ ამ

რეკომენდაციების გავრცელება. როგორც ბატონმა გიორგიმ აღნიშნა, მსგავსად წინა წლებისა, იგეგმება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე მემორანდუმის გაფორმება არასამთავრებო ორგანიზაციებთან, სადაც უწყებათაშორისი კომისია იყო ჩართული და ამასთან დაკავშირებით არჩევნების დანიშვნის დღის შემდგომ მიმართავს ცესკო კომისიას.

აქვე ბატონმა გიორგიმ კომისიას აცნობა, რომ ცესკო ამზადებს სახელმძღვანელოებს ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე, სადაც დეტალურად იქნება ზემოდასახელებული საკითხები დაკონკრეტებული, ამასთან, ყველა მუნიციპალიტეტთან ექნება ცესკო-ს წარმომადგენლობას შეხვედრები საინფორმაციო კამპანიის შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით კომისიის თავმჯდომარის, კომისიის წევრების საერთო თანხმობის და ცენტრალური საარჩევნო კომისიის ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსის თანხმობის შემდეგ ცესკო შეიმუშავებს რეკომენდაციას, რომელიც მომდევნო სხდომაზე განიხილება, შემდგომ კი გავრცელდება გავრცელება უწყებებში.

ბატონი მიხეილის მოსაზრებით, ეს რეკომენდაცია მნიშვნელოვანი და მეტად საყურადღებოა, რადგან ხელს შეუწყობს საჯარო მოსამსახურეების ინფორმირებასა და საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნების ჯეროვნად შესრულებას.

დასასრულ, კომისიის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა კომისიის წევრებსა და დამსწრე პირებს კომისიის მუშაობაში ჩართვისთვის.

სხდომა დასრულდა 11:57 საათზე.

კომისიის თავმჯდომარე:

კომისიის სამდივნო: